

დათო ტურაშვიდი

ამერიკული ზღაპრები

მხოლოდ დიდებისთვის



გაკურ სულაკაურის
გამოცემლობა

შინაარსი

ალბერ კამიუს სიცხე.....	7
ლიტერატურის ქალაქი	18
ამერიკული ჯინსები.....	29
ამერიკული ჯაზი	36
ჩემი პირველი ამერიკელი	49
მფარველი ანგელოზი.....	57
ამერიკული მზე.....	72
ჩემიონი	83
თერთმეტი სექტემბერი.....	94
ეთვარ კერეთი	102
შაქარყინული	109
ელარჯი	123
შიქეიგოუ	135
ამერიკული მთვარე.....	144
კერუაის გზა	153
ნიუ-ძირკოქი.....	161

ამ წიგნის დაწერის იდეა ძალიან ადრე, შეიძლება ჯერ კიდევ მაშინ გამიჩნდა, როცა აღმოვაჩინე, რომ ამერიკული ზღაპრების კრებული „მსოფლიოს ხალხთა საგანძურში“, უბრალოდ, არ არსებობდა. არადა, ქართულ ენაზე, ჯერ კიდევ ჩვენს ბავშვობაში გვექონდა მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების ნებისმიერი წიგნი ძალიან ახლობელი აფხაზური და დასავლური და ძალიან შორეული იაპონური და მთავრებული.

იმ ზღაპრების სხვადასხვა კრებულს, მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გამოსცემდნენ საქართველოში და მათი რაოდენობა და მრავალფეროვნება ჩვენთან ერთად იზრდებოდა. თუმცა სანამ ძალიან არ გავიზარდე, მართლა მეგონა, რომ ამერიკელებს ზღაპრები იმიტომ არ ჰქონდათ, რომ ამერიკა სულ რაღაც ორასი წლის ქვეყანა იყო.

მხოლოდ შტატებში ჩასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სინამდვილეში ამერიკა, ალბათ ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც რეალობასა და ოცნებებს შორის ზღვარი არ არსებობს და ამიტომაც ბავშვობაში (ერთადერთი) სწორედ ამერიკული ზღაპრების კრებული გვაკლდა.

შეიძლება ამ წიგნის დაწერა სწორედ იმ დანაკლისის შევსების მცდელობაა, დღემდე რომ მანუხებს ძველი დარდივით და ამიტომაც, უპირველესი მადლობა ამერიკის საელჩოს იმ თანამშრომლებს ეკუთვნით, რომლებმაც მონატრებულ ბავშვობაში დამაბრუნეს...

მადლობა ასევე ეკუთვნით:

ჯენის ჯოპლინს,
კურტ კობეინს,
ტომ ვეიტსს,
ლუ რიდს,
ბობ დილანს,
სოფია კოპოლას,
ჯეიმს დაგლას მორისონს

და აგრეთვე ყველას, ვინც ამ წიგნზე მუშაობის დროს,
ძალიან შორიდანაც კი, ძალიან მეხმარებოდა.

ალბერ კამიუს სიცხე

„ამერიკის უბედურება ის გახლავთ, რომ ყველა იქ ჩასულს ამერიკა თავისი აღმოჩენილი ჰგონია.“

ნოდარ დუმბაძე

ჯერ მხოლოდ ივლისის დასაწყისი იყო, მაგრამ თბილისში უკვე ისე ცხელოდა, რომ იმ დღეს, ამერიკის საელჩოს მისადგომებთან, ალბერ კამიუ მესამედ გამახსენდა. თუმცა კამიუს აუტანელი სიცხე, როგორც წესი, ივლისის ბოლოს მანუხებდა ხოლმე და საელჩო კი ამერიკელებს (მაშინ) ალექსანდრეს ბალის წინ ჰქონდათ. იმ ბალს რუსეთის იმპერატორის სახელი მეცხრამეტე საუკუნეში დაარქვეს მეტიჩარა ქართველებმა და მე კი ამერიკელებმა 2001 წლის ზაფხულში მიმიწვიეს ეგრეთ წოდებულ გასაუბრებაზე.

შიგნით, შენობაში, რასაკვირველია, გრილოდა, რის გამოც მაშინვე დავწყნარდი და მასპინძლებსაც მშვიდად, აუღელვებლად ვუპასუხე შეკითხვებზე და როგორც აღმოჩნდა, ამერიკელებს ყველაზე მეტად (გადაწყვეტილების მიღებამდე) ჩემი დამოკიდებულება აინტერესებდათ მათი ქვეყნის მიმართ. მანამდეც, ჯერ კიდევ ჩვენი პირველი სატელეფონო საუბრიდან ვი-

ცოდი, რომ ამერიკის საელჩო რომელიმე ქართველი მწერლის გაგზავნას აპირებდა შტატებში და მათი არჩევანი, რა თქმა უნდა, ჩემს პასუხებზეც იქნებოდა დამოკიდებული.

ისიც ვიცოდი, რომ მომავალი პროგრამა იყო ას-დლიანი და იმდენად მრავალფეროვანი, რომ პირველად სწორედ ის მკითხეს, ინგლისური თუ ვიცოდი. ჩემგან რომ დადებითი პასუხი მოისმინეს, მერე მკითხეს სად, როდის და როგორ შეისწავლეო და გულწრფელად გამეღიმა – ინგლისურს ამერიკელებიც კი ადვილად სწავლობენ და მე რატომ გამიჭირდებოდა-მეთქი.

იქვე, სადაც ჩვენი დიალოგი მიმდინარეობდა, დიდი, საერთო ოთახი ჰქონდათ გადატიხრული დანარჩენი თანამშრომლებისთვის, მაგრამ რადგანაც ყველა კარი ღია იყო, ჩვენი ხმა მისაღებიდან ყველას ესმოდა საკმარისად და ჩემი გახუმრებისთანავე იმ დანარჩენმა თანამშრომლებმა ერთდროულად გამოყვეს ცნობისმოყვარე ამერიკული თავები მორიგი ქართველი სულელის აღმოსაჩენად და ისეთი სიბრაღულით შემათვალიერეს, რომ ტყუილის თქმას აზრი აღარც ჰქონდა. აღარც მიცდია სხვა შეკითხვებზე ისეთი პასუხების გაცემა, რომლებიც ჩემს შანსებს გაზრდიდა შტატებში მოსახვედრად და ზუსტად ის ვუთხარი მასპინძლებს, რასაც მათი ქვეყნის შესახებ მაშინ ვფიქრობდი.

დამშვიდობებისას კი მითხრეს, დაგირეკავთო, მაგრამ დადებითი პასუხის იმედი მართლა არ მქონდა ბოლომდე და როცა საელჩოს შენობიდან გარეთ გამოვდიოდი, სწორედ ის ქეთი გამახსენდა, ვის გამოც ამერიკაში წასვლა ყველაზე მეტად მინდოდა.

რასაკვირველია, მქონდა სხვა მიზეზებიც ამერიკის აღმოსაჩენად და ბუნებრივია, მქონდა სხვა მიზნებიც (მაგალითად, 1912 წელს თბილისიდან ამერიკაში წაღებული მფრინავი ხალიჩის მოძებნა), მაგრამ იმ ანკეტაში, რომელიც ამერიკის საელჩოში შემავსებინეს, მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჩავწერე სურვილების გრაფაში.

უფრო სწორად, ეს იყო ჩემი მოკრძალებული თხოვნა, რადგან მართლა ძალიან მინდოდა, რომ ტომ ვეიტსი პირადად გამეცნო და გარდა ამისა, ანკეტაში ნამდვილად ვერ ჩავწერდი, რომ დიდი სურვილი მქონდა, ჩემი პირველი შეყვარებულიც მომეძებნა შორეულ შტატებში.

არადა, ქეთი ჩარაშვილი ჩემი პირველი და ნამდვილი სიყვარული იყო, სანამ დედამისი მეორედ გათხოვდებოდა ვილაც ამერიკელზე, რომელიც საბჭოთა კავშირში (თუ სწორად მახსოვს) კოლექციონერ არმანდ ჰამერის გამოფენას ჩამოჰყვდა და ბედნიერმა დედამ თავისი პირმშენიერი პირმშოც თან წაიყვანა.

არადა, ის მართლაც მშენიერზე მშენიერი იყო და ისიც მართალია, რომ ქეთის წასვლის შემდეგ ჩემთვის სკოლა ისე დაცარიელდა, რომ ბოლშევიკები საბოლოოდ შევიძულე.

საბჭოთა ხელისუფლებას არც მანამდე ვუყურებდი კეთილი თვალთ, მით უმეტეს, ლენინს და მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა იმ მილიონერი ჰამერის გამო ჩემი პირველი სიყვარული დავკარგე. მაშინ არმანდ ჰამერი უკვე ძალიან ასაკოვანი იყო, მაგრამ მას მაინც ძალიან კარგად ახსოვდა, რომ 1921 წელს პირადად შეხვდა ვლადიმერ ლენინს და მგონი, ამიტომაც მისცეს უფლება (ამდენი წლის შემდეგ), საბჭოთა კავშირში ჩამოსულიყო.

ახლა ზუსტად აღარც ვიცი, ამერიკელმა კოლეჯ-ციონერმა კონკრეტულად რომელი მხატვრის რომელი შედეგები ჩამოიტანა, მაგრამ ზუსტად მახსოვს, რომ მათ ჩემი მთავარი საგანძური წაიღეს, მე კი დავრჩი სრულიად გაძარცვული და მარტოდმარტო, ვლადიმერ ლენინთან ერთად. მე ისევ ლენინთან ვრჩებოდი, ქეთი კი იმ ქვეყანაში მიდიოდა, სადაც ჯონ ლენონი ცხოვრობდა – ჩვენი ბავშვობის მთავარი კერპი და ქეთის შეეძლო ჯონისთან მისვლა, ავტოგრაფის გამორთმევა და მისი გაცნობა. მოკლედ, ქეთის ლენონი ელოდა, მე კი – ისევ ლენინი.

ჩვენი ბოლო შეხვედრაც ისეთ პანაშვიდს ჰგავდა, სადაც სიტყვებს აზრი აღარ აქვს და უთქმელად, ჩუმად უსამძიმრებენ ხოლმე ჭირისუფალს, როცა ის ყველაზე ძვირფას ადამიანს კარგავს. ქეთი შეიძლება სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა იმის გამო, რომ ის მეორე დღეს ამერიკისკენ მიმავალ გზას უნდა დასდგომოდა, მე კი ისევ საბჭოთა ჯოჯოხეთში დავრჩენილიყავი და ის უკვე აღარ იყო ჩემზე უმცროსკლასელი ბაფთიანი და ჭორფლიანი გოგონა, რომელიც ვერ მიხვდებოდა, თუ რატომ მქონდა თვალები ცრემლებით სავსე.

თუმცა მაინც არ მიტირია იქ, მის თვალწინ და მაინც მოვიკრიბე არარსებული ძალები და მაინც გავუღიმე და ღიმილითვე დავუბრუნე ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და ქეთიმაც გამიღიმა:

– ლენონს თუ ვნახავ, ამ წიგნზე მოვანერინებ ხელს და უკან გამოგიგზავნი, – უცებ სერიოზული სახე მიიღო, დამემშვიდობა და წავიდა.

მას შემდეგ ქეთი ჩარაშვილი არასოდეს მინახავს და რა გასაკვირია, რომ ძალიან მინდოდა ამერიკაში წას-

ვლა და მისი მოძებნა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე სულაც არ იყო დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მიზეზიც მქონდა შტატებში გასამგზავრებლად და ის სხვა მიზანი იყო მფრინავი ხალიჩა, რომელიც ირლანდიელმა პატრიკ ო'ლირმა საქართველოდან წაიღო. ირლანდიელმა პოეტმა თბილისი მეოცე საუკუნის დასაწყისში დატოვა და ის მფრინავი ხალიჩა, რომელზეც ამდენი ლეგენდა არსებობდა ძველ საქართველოში (კავკასიასა და მთელ აღმოსავლეთში), წასვლისას ხელს გააყოლა. ხელალებით იმის თქმა, რომ ამ კეთილშობილმა კაცმა (გიორგი გურჯიევისა არ იყოს) უკანონოდ გაიტანა რომელიმე ხალიჩა საქართველოდან, რა თქმა უნდა, ძნელია და ჩვენ არც გვიფიქრია იმ მფრინავი ხალიჩის ამ თვალსაზრისით მოძებნა. არც იმის ილუზია მქონია, რომ თუ ამერიკაში მართლა მივაგნებდი ო'ლირის ხალიჩას, მის დაბრუნებას შევძლებდი საქართველოში და ამაზე თუნდაც იმიტომ არ მიფიქრია, რომ დანამდვილებით ისიც კი არ ვიცოდი, ჩააღწია თუ არა ხალიჩამ შტატებამდე, რადგან ის გემი, რომელსაც 1912 წელს ამერიკისკენ მიჰყვებოდა ირლანდიელი პოეტი, ატლანტის ოკეანეში ჩაიძირა. გემს „ტიტანიკი“ ერქვა...

დამირეკეს სამი კვირის შემდეგ, ამერიკის საელჩოში დამიბარეს მეორე დღისთვის და პირდაპირ მითხრეს, რომ მათი გადაწყვეტილებით, სწორედ მე უნდა წავსულიყავი შტატებში, რადგან ჩემი (მათი ტერმინოლოგიით) უცნაური და ხშირ შემთხვევაში არაზუსტი წარმოდგენების შეცვლა მხოლოდ თვითონ ამერიკას შეეძლო. ამერიკის შესახებ იმ ჩემი ყალბი და არასწორი

სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება (მათივე აზრით) არა მხოლოდ სასურველი და სასარგებლო, არამედ აუცილებელიც იყო.

რასაკვირველია, შეკამათება არც მიცდია და მაშინვე ისეთი სიამოვნებით ვთქვი მადლობა, როგორც მერე, კიდევ ერთხელ, უკვე აგვისტოში, როცა ჩემი ვიზაჩარტყმული პასპორტი უკან დამიბრუნეს, თვითმფრინავის ბილეთებიც ღიმილით გადმომცეს და კეთილი მგზავრობაც გულწრფელად მისურვეს. მადლობა ვუთხარი კოტე ყუბანეიშვილსაც იმ რეკომენდაციისათვის, რომელიც მან ამერიკელებთან შტატებში წასვლამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე გამიწია და ბარგის შეკვრის გარდა, მგონი აღარაფერი დამრჩენოდა.

ამერიკაში წასვლის დღეს თბილისში უკვე ისე ცხელოდა, ალბათ კამიუსაც გაუჭირდებოდა მისი აღწერა, მე კი წინ ძალიან გრძელი და მომქანცველი გზა მელიოდა ამერიკულ ქალაქამდე, რომელსაც აიოვა ჰქვია და ერთადერთი შეღავათი მგონი ის იყო, რომ ცოტა ბარგი მქონდა. ამერიკაში მიმავალ ადამიანს ისედაც არ სჭირდება ბევრი ბარგი. აიოვა იყო პირველი და მთავარი ქალაქი შტატებში, სადაც ჩვენი პროგრამა იწყებოდა. თუმცა ჩემი ამერიკული თავგადასავალი უფრო ადრე, ჯერ კიდევ იმ პირველ თვითმფრინავში დაიწყო, რომელმაც დიდ-ქალაქ ისტანბულს გადაუფრინა და ვინ უნდა გამხსენებოდა სტამბულის ცაზე, თუ არა შეყვარებული აჰმედ ჩელები.

ამ ახალგაზრდა კაცმა, 1856 წელს, ზურგზე დამაგრებული ფრთებით, გალათას კოშკიდან ბოსფორის სრუტეს გადაუფრინა, რომ ზემოდან მაინც, კიდევ ერთხელ ენახა გოგო, რომელიც ძალიან უყვარდა.

სინამდვილეში, ენახა კი არა, დაენახა გოგო, რომელიც გოგო კი იყო, მაგრამ მაშინდელ ოსმალეთში იმ ასაკის გოგოებს ქალები ერქვათ, ის კი უკვე ქალბატონიც გახლდათ, რადგან აჰმედ ჩელების რჩეული სულთნის ჰარამხანის წევრი იყო. შეყვარებული პოეტიც მიხვდა, რომ სწორედ ზემოთქმულის გამო, შესაძლოა, ვერასოდეს ენახა თავისი სატრფო და 1856 წლის ზამთრის იმ საღამოს, როცა სასახლის გადატანის ამბავი გაიგო, დიდად გაიხარა. თოფქაფის განძის ნაწილი დოღმაბახჩეს სასახლეში უკვე გადატანილი ჰქონდათ და მეორე დღეს ჰარამხანის ქალები უნდა გადაეყვანათ პატარა ოსმალური გემებით. იმ ღამეს აჰმედ ჩელების თვალი არ მოუხუჭავს. ის დილაზე ამზადებდა ფრთებს, რომლითაც მეორე დღეს ბოსფორს გადაუფრინა სწორედ მაშინ, როცა თოფქაფის ქვემო ნაწილიდან დაძრული, გაღონებად წოდებული პატარა გემები, სრუტეს აღმა, დოღმაბახჩესკენ აუყვნენ.

შეყვარებულმა თურქმა ზუსტად არც იცოდა, მიაღწია თუ არა სატრფოსადმი გაგზავნილმა მისმა წერილმა, რადგან სასახლის ნებისმიერი კარისკაცი, ვინც ჰარამხანაში ჩუმად შეეცდებოდა თუნდაც სრულიად უწყინარი უსტარის შეგზავნას, შეიძლება სიკვდილით დაესაჯათ. ახალგაზრდა პოეტს კი მხოლოდ გაფრთხილება სურდა თავისი მიჯნურისა, რომ მას, როგორც კი ცაზე მფრინავ ადამიანს შენიშნავდა, ჩადრი ჩამოეხსნა თუნდაც სულ რამდენიმე წამით, რომ აჰმედს იგი სამასამდე ქალს შორის უშეცდომოდ გამოერჩია.

1856 წლის იმ ზამთარს, არაზუსტი მონაცემებით, ხონთქარს თავის ჰარამხანაში სწორედ სამასამდე ქალი ჰყავდა, მაგრამ ჩელების სატრფო ერთადერთი და განუ-

მეორებელი იყო. ამიტომაც არავინ იცის, დაინახა თუ არა შეყვარებულმა აჰმედმა ის ქალი, რომლის გამოც მან ბოსფორის სრუტეს ხელებგაშლილმა გადაუფრინა...

მეც გადავუფრინე ბოსფორს და მერე კიდევ ბევრ სრუტესა და ზღვას, ქალაქსა თუ სოფელს და მთასა თუ ოკეანეს, სანამ დანიშნულების ადგილამდე ჩავალწვდი (სხვათა შორის, ხელოვნური ფრთებით გაფრენა (ჯერ კიდევ მინოსურ ეპოქაში) პირველად იკაროსმა სცადა, თუმცა უშედეგოდ, რადგან მანძილი კუნძულ კრეტიდან სიცილიამდე საკმაოდ დიდი იყო).

მანამდეც ორჯერ გამოვიცვალე, მაგრამ ბოლოს რომ ვიჯექი, ის თვითმფრინავი ისეთი პატარა აღმოჩნდა, რომ რეისის დასრულების შემდეგ მგ ზავრებს ერთმანეთთან განშორება ცოტა გაგვიჭირდა კიდევ.

აეროპორტში დამხვდა თვითონ პროგრამის დირექტორი კრისტოფერ მერილი და გაცნობისთანავე, როგორც კი ხელი ჩამომართვა, მაშინვე ვიგრძენი სითბო, რომლის გამოც ვიფიქრე, რომ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ადამიანი გავიცანი მათ შორის, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. აეროპორტიდან აიოვასაკენ მიმავალ გზაზეც ჩემი პირველი შეკითხვა სწორედ ცხოვრებას შეეხებოდა, რადგან მართლა მაინტერესებდა, ეს აიოვას შტატი ლიტერატურის გარდა რით იყო გამორჩეული და ბატონმა კრისტოფერმაც ღიმილით ამიხსნა, რომ აიოვა სწორედ ის შტატია, რომელიც ტორნადოებით არის ცნობილი და ტელევიზორშიც აუცილებლად ნანახი გექნებათ.

ამ პასუხის გამო ცას რომ ცოტა შეშფოთებულმა ავხედე, კეთილმა დირექტორმა იქვე დამამშვიდა (ისევ

განუყრელი ღიმილით) და მაშინვე ამიხსნა, რომ ტორნადოები მათ საყვარელ შტატს გაზაფხულზე გადაუვლის ხოლმე, ახლა კი გავარვარებული აგვისტო იდგა და აიოვაში, თბილისივით, ძალიან ცხელოდა.

იმავე (აეროპორტიდან ქალაქისკენ მომავალ) გზაზე ისიც შევიტყვე, რომ გარდა ზემოთქმულისა, აიოვა სიმინდის იმ ყანებითაც ძალიან ცნობილი შტატია, რომელთა ნახვის შემდეგაც ნიკიტა ხრუშჩოვმა მთელ საბჭოთა კავშირში სიმინდის დათესვა ბრძანა. ჩვენში ქორიცი ბევრი იცისო, ბატონმა კრისტოფერმა რომ დაამატა, უკვე ქალაქიც გამოჩნდა თავისი უნივერსიტეტის კონტურებით და ქორეებზე საუბარი ამიტომაც აღარ გაგვიგრძელება.

ამ უნივერსიტეტის გამო ლიტერატურის აღმსარებლებისთვის აიოვა ისეთივე წმინდა ქალაქია, როგორც მუსულმანებისთვის – მექა, ოღონდ ქააბას გარეშე და ამ უნივერსიტეტის ლიტერატურული დეპარტამენტი ყველაზე სახელოვანია მთელ შტატებში. უფრო სწორად, ასე იყო მანამ, სანამ იუნესკო აიოვას ლიტერატურული ქალაქის წოდებას მიანიჭებდა (სრულიად დამსახურებულად, რასაკვირველია). ამის შემდეგ ამ ქალაქის დიდება ამერიკის საზღვრებსაც გასცდა. მწერლებიც, ყოველწლიურად, მთელი მსოფლიოდან ჩამოჰყავთ აიოვა-სითიში, სადაც მათ მართლა მშვენიერ პირობებს უქმნიან წერისთვის, მაგრამ აიოვას პროგრამა ძალიან მრავალფეროვანია და სულაც არ ითვალისწინებს მხოლოდ წერას.

იმ წელსაც, ორი ათას ერთში, ოცდაათამდე მწერალს სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა სემინარსა და კონფერენციაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა და ლე-

ქციებიც უნდა ნაეკითხა ლიტერატურით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. პირველივე შეკრებაზე ჩვენი პროგრამა დაწვრილებით გაგვაცნეს და ჩემი მოკრძალებული მოსაზრებაც გამოვთქვი იმის გამო, რომ ამერიკაში ყოფნის პირველივე დღეს სერიოზული პრობლემები შემექმნა. ეს პრობლემა მხოლოდ ერთი შეხედვით იყო მარტივი და სინამდვილეში გარეთ მართლა ძალიან ცხელოდა, ხოლო შენობაში ისე ციოდა, რომ დახმარებისათვის იმ შეკრებაზე მობრძანებულ რექტორატის წარმომადგენელსაც მივმართე. კიო, – დაუყოვნებლივ დამეთანხმა კიდევ, გარეთ ძალიან ცხელა და შიგნით მართლა ძალიან ცივა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან გარეთ ჩვენ ვერაფერს შევცვლით, შენობაში კი ზუსტად ის ტემპერატურაა, რომელსაც შინაგანანწესი მოითხოვსო. ერთი კი გავიფიქრე, – კონდიციონერების სულ ცოტა ხნით მაინც გამორთვას რალა უნდა-მეთქი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ მუდამ გაღიმებულ მასპინძლებთან შეკამათებას პირველივე დღეს აზრი არ ჰქონდა.

მეორე დღეს, დილიდანვე, როცა იქვე, ჩვენი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხის ქვეშ განემართოვდი უძილო ლამის შემდეგ და ლამენათევს ჩრდილში ჩამეძინა, გაღვიძებულმა ისეთი საოცრება აღმოვაჩინე, რომ წინა დღეს გულაცრუებულს, ამერიკელები კინალამ დაუყოვნებლივ შემიყვარდა.

ეს იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ გამეღვიძა, როგორც ალყა-შემორტყმულ ფიფქიას და მახსოვს, რომ ცხოველებს, ჩემგან განსხვავებით, სულაც არ ჰქონდათ გაკვირვებული თვალები. პირიქით, ჩემ ირგვლივ ჩამომსხდარი

ფაუნის წარმომადგენლები (ირმებიდან კურდღლების ჩათვლით) ძალიან მშვიდად მათვალისწინებდნენ და ალბათ მონდომებითაც ამლოკავდნენ, რომ არა ჩემი შეშფოთებული სახე.

თუმცა მერე, ძალიან მალე, შეშფოთებამაც გამი-
არა და არათუ ტყისპირას, შუა ქალაქშიც კი აღარ მაკ-
ვირვებდა ხოლმე არხეინად ჩამოვლილი რომელიმე
ქარავანი.

ბოლოს იმასაც მივხვდი, რომ სხვანაირი არც
შეიძლება იყოს მთავარი ლიტერატურული ქალაქი...